რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში

2023
წლის ანგარიში

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადდა **ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის** (TDI) მიერ USAID **სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI) **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

TDI
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიშზე მუშაობდნენ:

საბა სუთიძე, მანუჩარ ცეცხლაძე, ნინო თეთრაული, მარიამ ღავთაძე

პროექტის ხელმძღვანელი:

მარიამ ღავთაძე

დიზაინი:

ელენე მინდიაშვილი

© 2024, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

მეთოდოლოგია 4

1. ძირითადი ტენდენციები და სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა 5

2. დისკრიმინაცია კანონმდებლობაში 8

2.1. ახალი დისკრიმინაციული თავდაცვის კანონმდებლობა 8

2.2. დისკრიმინაცია სახელმწიფო ქონების კანონში 10

2.3. დისკრიმინაცია საგადასახადო კოდექსში 11

2.4. უქმე დღეებისა და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა 11

- დეპუტატ ტარიელ ნაკაიძის საქმე 12
- ადვენტისტი აბიტურიენტების საქმე 13

3. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები 14

3.1. ისტორიული ქონების დაბრუნება 14

- კათოლიკეებისთვის მათი ისტორიული ტაძრების მონახულების ხელშეშლა 15

3.2. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე 15

3.3. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე 16

4. რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსება 19

5. დანაშაულები რელიგიის ნიშნით 21

5.1. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა 22

5.2. დაბა ადიგენში მუსლიმების მიმართ დევნა 23

5.3. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე 24

6. რელიგია საჯარო სკოლებში 25

7. ანტისემიტიზმი 27

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების მიმოხილვა და ანალიზი. ანგარიში მოიცავს 2023 წლის პერიოდს. გაანალიზებულია ის სისტემური პრობლემები, რომლებსაც არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციები, უკვე მრავალი წელია, აწყდებიან და ისინი საანგარიშო პერიოდშიც გადაუჭრელი რჩება. გარდა ამისა, მიმოხილულია ახალი სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას უკავშირდება.

ანგარიშის მომზადების პროცესში ემპირიული მასალის მოპოვებისა და დამუშავებისთვის გამოყენებულია სხვადასხვა კვლევითი ინსტრუმენტი: სამაგიდო კვლევა, საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო დოკუმენტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ანგარიშების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის, სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციის, TDI-ს მიერ განხორციელებული სამართალწარმოების შედეგებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების თვალსაზრისით სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა შეფასებულია ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

1. ძირითადი ტენდენციები და სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა

2023 წელი დატვირთული იყო პოლიტიკური პროცესებით. საქართველოს ხელისუფლებამ არაერთი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის სუვერენიტეტის, ევროინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი პროცესის, რელიგიური, სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების საქმიანობისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების საზიანოდ.

საანგარიშო პერიოდში ხელისუფლებამ **რუსული სტილის კანონპროექტი** დააინიცირა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციებს "უცხოური გავლენის აგენტებად" გამოაცხადებდა. კანონი შეეხებოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებსაც, მათ შორის, არაერთ რელიგიურ-საქველმოქმედო ორგანიზაციას. საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკული შეფასებებისა და 2023 წლის მარტში გამართული მასშტაბური საპროტესტო აქციების შედეგად, ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეწვია რეპრესიული კანონპროექტი. მიუხედავად ამისა, 2024 წელს, მან ეს კანონპროექტი ხელახლა დააინიცირა პარლამენტში.

"უცხოური გავლენის აგენტების" 2023 წელს ინიცირებული კანონპროექტი კრიტიკულად შეაფასეს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოებმაც. "კანონპროექტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მედიას, საქველმოქმედო და რელიგიურ გაერთიანებებსაც კი „უცხოური გავლენის აგენტებად" აცხადებს და აკნინებს მათ მთელ საქმიანობას და როლს საზოგადოებაში... წარმოდგენილი კანონპროექტი ეწინააღმდეგება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეების მიერ გამოხატულ ურყევ ნებას, საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებულ მიზნებს და ადამიანის უფლებებს. მისი მიღება იქნება საგანგაშო და დამანგრეველი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის" - ვკითხულობთ განცხადებაში, რომელსაც 20 რელიგიური და 23 ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაცია აწერს ხელს.[1]

ევროინტეგრაციის წინააღმდეგ მიმართული ხელისუფლების ღონისძიებები გამსჭვალულია ანტიდასავლური და არადემოკრატიული რიტორიკით, რომელსაც მთავარ ხაზად **რელიგიური თემებით პოპულისტური სპეკულირება** გასდევს. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სულ უფრო ხშირად მანიპულირებენ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტით და, "სარწმუნოების

1 სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოების საგანგებო განცხადება, 2023 წლის 2 მარტი https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveltan-arsebuli-religiata-da-etnikur-umtsiresobata-sabchoebis-sagangebo-gantskhadeba

დაცვის" საბაბით, თავს ესხმიან თავისუფალ საზოგადოებას.[2] პარალელურად, იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის არასეკულარული და გაუმჭვირვალე დაფინანსებაც (დაფინანსების შესახებ იხ. თავი 4).

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე, სათანადო აქტუალობით აღარ ჩანს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან და რელიგიური უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული მწვავე საკითხები. **ხელისუფლება სარგებლობს ამ მდგომარეობით და ზრდის წნეხს რელიგიურ უმცირესობებზე,** სულ უფრო ინტენსიურად ლახავს მათ უფლებებს, იღებს რელიგიის თავისუფლების საწინააღმდეგო საგანგაშო კანონებს და ხელს აფარებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს.

2023 წელს პარლამენტმა **ახალი თავდაცვის კოდექსი** მიიღო, რომელიც დისკრიმინაციულია რელიგიური გაერთიანებების მიმართ. განსაკუთრებით საგანგაშოა თავდაცვის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც წარმოაჩენს ხელისუფლების სურვილს, შეაგროვოს საქართველოს მოქალაქეების პერსონალური მონაცემები მათი აღმსარებლობის შესახებ (იხ. თავი 2.1). **სახელმწიფო ქონების კანონში, საგადასახადო და შრომის კოდექსებში** მანამდე არსებული დისკრიმინაციული ნორმები კი კვლავ უცვლელი დარჩა საანგარიშო პერიოდში (იხ. თავები 2.2.-2.4).

ხელისუფლება და მის მიერ შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო წლებია **ცდილობენ რელიგიის შესახებ სპეციალური კანონის მიღებას.** საანგარიშო პერიოდში ხელისუფლებამ კანონის მიღების ინიციატივა კიდევ ერთხელ გააჟღერა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტში ჩაიწერა, რომ იგეგმებოდა "რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ" სპეციალური კანონის მიღება; ასევე რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის არსებული მოდელისა და სამლოცველოების მშენებლობის მარეგულირებელი ნორმების ცვლილება. ამ ტიპის კანონმდებლობა გამოიწვევს არაერთი რელიგიური გაერთიანების გაქრობას ან მათი უფლებრივი მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესებას. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი იყო გაუმჭვირვალე და მასში არ ყოფილან ჩართული რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე ან უშუალოდ რელიგიური ორგანიზაციები. მისასალმებელია, რომ 2023 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებულ ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ჩანაწერები რელიგიასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე აღარ გვხვდება.

საანგარიშო პერიოდში **ხელისუფლებამ განაგრძო მუსლიმი მოქალაქეების უფლებების სისტემური დარღვევა.** არ გადაჭრილა **ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი** და მუსლიმები კვლავ ღია ცის ქვეშ განაგრძობენ შეკრებას და ლოცვას. 2023 წელს ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ პრობლემური შინაარსის გადაწყვეტილება მიიღო და საქმე განსახილველად სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა, რითაც მუსლიმთა უფლებების შელახვა

2 ქართული ოცნების თავმჯდომარე ი. კობახიძე რუსული კანონის წინააღმდეგ 2023 წლის საპროტესტო აქციებზე:
"ეს ადამიანები ემსახურებიან არა საკუთარ ქვეყანას, არამედ პირდაპირ არიან დაკავებული ანტიეკლესიური პროპაგანდით და ამას მიზანმიმართულად აკეთებენ, რადგან იდენტობა შეარყიონ. დღეს იყო ეკლესიის მაგინებლების აქცია. ის 20 კაცი, ვინც აქციაზე უსტვენდა, იყო ეკლესიის მაგინებელი" - 3 მარტი, 2023
"კონკრეტული ორგანიზაციები არიან, რომლებიც აგინებენ ეკლესიას. გუშინ შესაბამისი ტრანსფარანტები იყო აქციაზე, ესეც ვიხილეთ. ისინი ეკლესიის მაგინებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ. ამაზე ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ეკლესიის წინააღმდეგ პროპაგანდის აღკვეთა და ყველა იმ ნაბიჯის, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება" - 10 მარტი, 2023

უფრო გახანგრძლივდა (იხ. თავი 3.2). **ადიგენში კი მუსლიმთა მიმართ ძალადობისა და დევნის** ახალი კერა გაჩნდა. მართლმადიდებელი სასულიერო პირის მიერ მუსლიმებზე ორგანიზებულ თავდასხმ-ებს, რომელსაც დანაშაულის ნიშნები აქვს, ხელისუფლებამ უკანონო ქმედებებით უპასუხა. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე არ დაწყებულა გამოძიება. მეტიც, ხელისუფლება უშუალოდ ჩართო ადიგენში მუსლიმთა დევნაში. რელიგიის საკითხთა სახელმ-წიფო სააგენტო და ადიგენის მერი აიძულებენ მუსლიმებს, უარი თქვან საკუთარ ფუნდამენტურ უფლებებზე, შეკრებასა და ლოცვაზე და მათ საკუთრებაში კანონიერად არსებულ ქონებაზე (იხ. თავი 5.2).

გაგრძელდა **ევანგელისტური ეკლესიის** მრევლის რელიგიის თავისუფლების და სხვა ფუნდამენტუ-რი უფლებების უხეში დარღვევა, რომელიც შენიღბულია წინააღმდეგობრივი სამოქალაქო დავით. საქმეში ფიგურირებს გაყალბებული დოკუმენტები, რომლებზეც საქართველოს სასამართლო და საგამოძიებო უწყებები თვალს ხუჭავენ (იხ. თავი 3.3).

უცვლელი დარჩა წლების განმავლობაში რელიგიური უმცირესობების წინაშე მდგარი სისტემური პრობლემები. მათ შორისაა ისტორიული **რელიგიური ქონების რესტიტუციის** საკითხი (იხ. თავი 3.1), საჯარო სკოლებში არსებული დისკრიმინაციული და არასეკულარული გარემო (იხ. თავი 6), შეუწყნარებლობით ჩადენილი **დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება** (იხ. თავი 5) და სხვა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი ფორმა შეიძინა **ანტისემიტიზმმა**. 2023 წლის 7 ოქტომბერს, ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასის" მიერ ისრაელზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, სოციალურ ქსელებში ანტისემიტური შინაარსის განცხადებების არაერთი ტალღა გავრცელდა. საქართველოს სოციალური მედიის პლატფორმებზე გაკეთებული ანტისემიტური განცხადებები მიემართება ებრაელებს, ისრაელელებს, სიონიზმს და ისრაელის სახელმწიფოს (იხ. თავი 7).

2. დისკრიმინაცია კანონმდებლობაში

პრობლემად რჩება კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომებს ამკვიდრებს და საგამონაკლისო პრივილეგიებსა და უფლებებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის აწესებს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დღემდე არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. პირიქით, ხელისუფლებამ საანგარიშო პერიოდშიც განაგრძო ახალი დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება.

2.1. ახალი დისკრიმინაციული თავდაცვის კანონმდებლობა

2023 წლის 21 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი თავდაცვის კოდექსი და მასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო. ახალი კანონმდებლობა შეიძლება, შეფასდეს, როგორც ანტიკონსტიტუციური და დისკრიმინაციული რელიგიის ნიშნით:

- მანამდე მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, ახალი თავდაცვის კოდექსი აღარ ითვალისწინებს სასულიერო პირებისთვის სამხედო სამსახურის გავლის გადავადების უფლებას, რომელიც, პრაქტიკაში, სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლებას უტოლდებოდა.

- ახალი თავდაცვის კოდექსითა და „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონით, ყველა 18-დან 27 წლამდე სასულიერო პირი, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, შეძლებს არასამხედრო შრომითი სამსახურის გავლას. თუმცა ეს ვალდებულება არ ვრცელდება მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებზე, რომლებიც, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, თავისუფლდებიან ყველანაირი სამხედრო ვალდებულებისგან, მათ შორის, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურისგან.

- ანალოგიურად, თავდაცვის ძალების რეზერვში ავტომატურად ჩაირიცხება 18-დან 60 წლამდე ყველა კაცი, მათ შორის, არამართლმადიდებელი სასულიერო პირებიც. მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები კი, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, ამ ვალდებულებისგანაც თავისუფლდებიან.

- გარდა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის ახალი კერის გაჩენისა, განსაკუთრებით საგანგაშოა ხელისუფლების სურვილი, შეაგროვოს ისეთი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, როგორიცაა ადამიანის რწმენა და აღმსარებლობა. კერძოდ, ახალი თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ინფორმაცია პირის აღმსარებლობის შესახებ, რაც ნიშნავს აღმსარებლობის შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას ყველა 18-დან 60 წლამდე მამაკაცზე. ეს კი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია.

თავდაცვის სამინისტრო ვერ ასახელებს რაიმე ლეგიტიმური მიზანს, რომელიც გაამართლებდა ყველა 18-დან 60 წლამდე მამაკაცის აღმსარებლობის შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვებას. სახალხო დამცველის აპარატთან წერილობით კომუნიკაციაში სამინისტრო აღნიშნული ნორმის შემოღების მოტივაციად ასახელებს: სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი სამხედრო მოსამსახურეებისათვის თანაბარი პირობების შექმნას, აღმსარებლობიდან გამომდინარე კვების საჭიროებების გათვალისწინებას, საომარი მოქმედებების დროს სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მისი აღმსარებლობის შესაბამისად დაკრძალვას, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულების ხელშეწყობასა და სხვა.[3]

სამინისტროს მიერ დასახელებული მიზნები აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ვერ გაამართლებს, რადგან ყველა ჩამოთვლილი საჭიროების (მაგალითად, კვების თავისებურებები, რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულება და ა.შ.) დაკმაყოფილება თითოეული სამხედრო მოსამსახურის მიერ საკითხის ინდივიდუალურად წამოჭრის შემთხვევაშიც შესაძლებელია. რაც შეეხება საომარი მოქმედებების დროს სამხედრო მოსამსახურის დაღუპვისას მისი რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისად დაკრძალვისა და პატივის მიგების ღონისძიებების ჩატარებას, ეს გარდაცვლილის ოჯახთან შეთანხმებით ხდება,[4] რის გამოც, სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებამდე მისი რელიგიური რწმენის ცოდნის საჭიროება არ არსებობს. შესაბამისად, აშკარაა, რომ ხელისუფლების მიზანია, უკანონოდ და რეპრესიულად შეაგროვოს საქართველოს მოსახლეობის აღმსარებლობის შესახებ მონაცემები, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

საანგარიშო წლის ნოემბერში თავდაცვის კოდექსში ასევე შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, **შეიზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება** და ფორმალური გახდა უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. კერძოდ, ახალი რეგულაციების თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილება, ასევე ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება პირისთვის ოფიციალურად გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, შეიძლება, გასაჩივრდეს სასამართლოში. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გაწვევას. აღნიშნული რეგულაციის გამო, დასახელებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება, პრაქტიკულად, აზრს კარგავს, რადგან შესაძლოა, პირი, საქმის განხილვის დროისათვის, უკვე გაწვეული იყოს სამხედრო სამსახურში.

ამ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, ხელისუფლებამ შემოიტანა ახალი საგანგაშო ტერმინოლოგია, როგორიცაა „არაკეთილსინდისიერი" და „ფიქტიური" რელიგიური ორგანიზაციები. მართალია, აღნიშნული ტერმინოლოგია უშუალოდ კანონების ტექსტებში არ წერია და გვხვდება თავდაცვის კოდექსის განმარტებით ბარათსა და ხელისუფლების საჯარო განცხადებებში, მაგრამ საგანგაშოა ამ ტერმინოლოგიის სამართლებრივ და საკანონმდებლო სივრცეში გამოყენების ფაქტი. ეს არგუმენტაცია ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ერევა იმის გადაწყვეტაში, თუ რომელი რელიგიური ორგანიზაციაა ფიქტიური და რომელი - ნამდვილი.

3 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, გვ. 177-178.

4 სამხედრო ცერემონიალებისა და სარიტუალო ღონისძიებების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის №14 ბრძანების დანართის მეორე მუხლი.

თავდაცვის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები არაერთხელ კრიტიკულად შეაფასა სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ. 2023 წლის აპრილში გავრცელებულ განცხადებაში, საბჭო მოუწოდებდა პარლამენტს, არ მიეღო დისკრიმინაციული კანონი.[5] ოქტომბრის განცხადებით, საბჭომ კიდევ ერთხელ კრიტიკულად შეაფასა ხელისუფლების მიერ პრობლემური კანონმდებლობის მიღება[6]: *"ამ ცვლილებით გაჩნდა კიდევ ერთი უთანასწორობა რელიგიის ნიშნით ... მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა უკავშირდება სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში მონაცემების აღრიცხვას ...რაც არღვევს რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და პერსონალური მონაცემების დამუშავების ძირითად პრინციპებს და ქმნის სერიოზულ ხიფათს, რომ სახელმწიფოს ხელთ აღმოჩენილი უაღრესად სენსიტიური ინფორმაცია, სამომავლო დისკრიმინაციული პრაქტიკების საფუძველი გახდეს"* - ვკითხულობთ რელიგიათა საბჭოს განცხადებაში.

2.2. დისკრიმინაცია სახელმწიფო ქონების კანონში

სახელმწიფო ქონების შესახებ კანონი ექსკლუზიურ უფლებებს ადგენს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს უზღუდავს სახელმწიფო ქონების შეძენას. კერძოდ:

- კანონის მე-3 მუხლი ზღუდავს რელიგიური ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების **შეძენას** და **გაცვლას.** გამონაკლისია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია;[7]

- კანონის მე-4 მუხლი რელიგიურ ორგანიზაციებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული **რელიგიური დანიშნულების ნაგებობებისა და მათი ნანგრევების პრივატიზების უფლებას უზღუდავს.** საპატრიარქოსა და სახელმწიფოს შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმებიდან გამომდინარე, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება მართლმადიდებელ ეკლესიაზე. გარდა დისკრიმინაციული შინაარსისა, აღნიშნული კანონმდებლობა რელიგიურ უმცირესობებს უზღუდავს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ისტორიული ქონების საკუთრებაში დაბრუნებასაც;[8]

- 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მართლმადიდებელ ეკლესიას **სახელმწიფო ტყეების საკუთრებაში მიღების** ექსკლუზიური უფლება მიენიჭა (მუხლი 3.6). იმის გასაგებად, თუ კანონის ამოქმედებიდან 2023 წლის ბოლომდე, სულ რამდენი ერთეული ტყის ნაკვეთი გადაეცა საკუთრებაში მართლმადიდებელ ეკლესიას, TDI-მ წერილობით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 2024 წლის აპრილის მდგომარეობით, არცერთ საჯარო უწყებას TDI-სთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია.

5 სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება, 2023 წლის 3 აპრილი http://tolerantoba.ge/index.php?news_id=943

6 სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება, 2023 წლის 19 ოქტომბერი http://tolerantoba.ge/index.php?news_id=947

7 იხ. ცხრა რელიგიური გაერთიანების მიერ 2019 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1440, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1410

8 იხ. შვიდი რელიგიური გაერთიანების მიერ 2021 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1640, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12279

ნორმები, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებს უზღუდავს სახელმწიფო ქონების შეძენას, გაცვლ-ასა და პრივატიზებას, TDI-ს 2019 წლიდან აქვს გასაჩივრებული საკონსტიტუციო სასამართლოში, თუმცა სასამართლოს ამ დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილება. სასამართლოს მიერ ამ საქმეების განხილვის არაგონივრული ვადით გახანგრძლივება ხელს უწყობს არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ დისკრიმინაციას და მათი უფლებების შელახვას.

2.3. დისკრიმინაცია საგადასახადო კოდექსში

გადაუჭრელი რჩება დისკრიმინაცია საგადასახადო კოდექსშიც, რომელიც უთანასწორო საგადასახადო რეჟიმს აწესებს რელიგიური უმცირესობებისთვის. კერძოდ:

- **ქონების გადასახადით** იბეგრება რელიგიური ორგანიზაციების ბალანსზე აღრიცხული, არაკომერციული მიზნით გამოყენებული მიწა (201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). ამავდროულად, სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს საპატრიარქო გათავისუფლებულია არაეკონომიკური საქმიანობისათვის არსებულ მიწაზე ქონების გადასახადისგან;[9]

- კონსტიტუციური შეთანხმება საღვთისმსახურო პროდუქციის შემოტანის დროს **იმპორტის გადასახადისგანაც** ათავისუფლებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ყველა სხვა რელიგიურ გაერთიანებას კი საგადასახადო კოდექსი ავალდებულებს, გადაიხადოს იმპორტის გადასახადი (მუხლები 159 და 195);[10]

საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის დასახელებული ნორმა TDI-ის 2019 წლიდან, ხოლო 159-ე და 195-ე მუხლები 2021 წლიდან აქვს გასაჩივრებული საკონსტიტუციო სასამართლოში, თუმცა, სახელმწიფო ქონების კანონის სადავო ნორმების მსგავსად, სასამართლოს არც მათ შესახებ მიუღია ამ დრომდე გადაწყვეტილება.

2.4. უქმე დღეებისა და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა

საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებ-ის მიმართ არსებული დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღმოფხვრის საკითხი. კანონმდებლო-ბით, ნებისმიერ სექტორში დასაქმებული რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების, მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის პრობლემურია საკუთარი რელიგიური დღესასწაულებითა და უქმე დღეებით სარგებლობა.

შრომის კოდექსის მიხედვით, უქმე დღეებად განსაზღვრულია 13 დღესასწაული (დღეების მიხედვით - 17 უქმე დღე), საიდანაც მხოლოდ 6 უკავშირდება საერო მნიშვნელობის მოვლენებს, დანარჩენი კი, ექსკლუზიურად მართლმადიდებლური ქრისტიანული დღესასწაულებია. საქართველოში მცხოვრები სხვა რელიგიური და ეთნიკური თემების კულტურული და რელიგიური დღესასწაულები კი უგულებელყოფილია.

9 იხ. ცხრა რელიგიური გაერთიანების მიერ 2019 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1422, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1430

10 იხ. ცხრა რელიგიური გაერთიანების მიერ 2021 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1593, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11126

„საქართველოს შრომის კოდექსის“ მიხედვით, დასაქმებულს შეუძლია, დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად, მოითხოვოს სხვა უქმე (დასვენების) დღეები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული. რელიგიურ უმცირესობებს მხოლოდ ამ ზოგადი ხასიათის წესით სარგებლობა შეუძლიათ. ამ შემთხვევაში, არსებული უქმე დღეების ნაცვლად სხვა დასვენების დღის მოთხოვნა, შრომით ხელშეკრულებასა და დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რაც დასაქმებულს შესაბამის გარანტიებს ვერ უქმნის.

- **დეპუტატ ტარიელ ნაკაიძის საქმე**

ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია მუსლიმი პარლამენტის წევრის, ტარიელ ნაკაიძის მიმართ პარლამენტის მიერ რელიგიის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევა. კერძოდ, ტარიელ ნაკაიძემ 2023 წლის 28 ივნისის პლენარული სხდომა ყურბან-ბაირამის - ისლამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულის - აღსანიშნავად გააცდინა, რაც პარლამენტმა არასაპატიოდ ჩაუთვალა და ხელფასის 10 პროცენტი დაუკავა. 2023 წლის ოქტომბერში ტარიელ ნაკაიძემ მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტზე სასამართლოს მიმართა.[11]

27 ივნისის პლენარულ სხდომაზე ტარიელ ნაკაიძემ საჯაროდ ისაუბრა საქართველოში უქმე დღეების რეგულირების საკითხზე და აღნიშნა, რომ პრობლემურია, როდესაც ქვეყანაში არცერთი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელს არ ეძლევა შესაძლებლობა, მისთვის მნიშვნელოვან რელიგიურ თარიღებზე ისარგებლოს უქმე დღით. მან ასევე მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ რადგან მომდევნო დღეს აღინიშნებოდა ისლამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული, ყურბან-ბაირამი, იგი, საკუთარი მრწამსიდან გამომდინარე, ვერ დაესწრებოდა 28 ივნისის პლენარულ სხდომას.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, პლენარული სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზების ჩამონათვალში, არ გვხვდება ადამიანის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე საკუთარი მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნა, რითაც ისარგებლებდა ტარიელ ნაკაიძე და მისი რელიგიისთვის მნიშვნელოვან დღესასწაულს უქმედ გაატარებდა. პარლამენტმა არც ტარიელ ნაკაიძის წინასწარი განცხადება გაითვალისწინა, რომელშიც მან აღნიშნა, რომ იძულებული იყო 28 ივნისს დაგეგმილი პლენარული სხდომა გაეცდინა.

პარლამენტმა უგულებელყო ისეთი მნიშვნელოვანი ინტერესი, როგორიც რელიგიის თავისუფლების დაცვაა, და უპირატესობა მიანიჭა პარლამენტის რეგლამენტის ფორმალური მოთხოვნის დაცვას, რომელიც, თავის მხრივ, მხედველობაში არ იღებს იმას, რომ რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პარლამენტის წევრებს არცერთი უქმე დღე არ აქვთ მათთვის მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავად. ამგვარ პირობებში, პარლამენტს ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინა ტარიელ ნაკაიძის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით სარგებლობის უმნიშვნელოვანესი ინტერესი და გადაწყვეტილება ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ უნდა მიეღო.[12]

11 დეპუტატ ტარიელ ნაკაიძის ინტერესებს სასამართლოში TDI და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებების კლინიკა იცავენ.

12 დეტალურად იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) შეფასება: https://tdi.ge/ge/news/1096-deputat-tariel-nakaizis-mimart-diskriminaciis-sakme

- **ადვენტისტი აბიტურიენტების საქმე**

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი 2020 წლიდან იცავს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის წევრი ორი აბიტურიენტის ინტერესებს[13], რომელთაც გამოცდების ეროვნულ ცენტრს 2020 წლის 30 ივნისს მიმართეს 18 ივლისს დანიშნული გამოცდის გადატანის თხოვნით, რადგან, რელიგიური მრწამსის გამო, მათ არ შეეძლოთ, მონაწილეობა მიეღოთ გამოცდაში შაბათ დღეს. ცენტრმა უკანონოდ და გაუმართლებლად უარყო განმცხადებლების მოთხოვნა, რითაც დაარღვია მათი რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, განათლებისა და თანასწორობის უფლებები. TDI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა 2020 წლის 15 ივლისს. განცხადებით მოთხოვნილი იყო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დავალებოდა, ეს აბიტურიენტები დაეშვა გამოცდაზე 17 ან 19 ივლისს, ან ნებისმიერ სხვა დღეს, გარდა შაბათისა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. შედეგად, აბიტურიენტებმა შეძლეს გამოცდის სხვა დღეს ჩაბარება.

ამის შემდეგ, TDI-მ 2020 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა აბიტურიენტების სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილი იყო დისკრიმინაციის დადგენა რელიგიის ნიშნით, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა უარის სადავო აქტის ბათილად ცნობის გზით და დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანისათვის სიმბოლური ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. 2022 წლის 20 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სტუდენტების მოთხოვნა. სასამართლომ ბათილად ცნო გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სადავო აქტი, რომელიც აბიტურიენტებს გამოცდის თარიღის შეცვლის შესაძლებლობას უზღუდავდა. თუმცა საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენისა და მორალური ზიანის სიმბოლური კომპენსაციის ცენტრისათვის დაკისრების მოთხოვნები.

2022 წლის აგვისტოში, TDI-მ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. **2024 წლის თებერვალში თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა TDI-ის საჩივარი, აბიტურიენტთა მიმართ რელიგიის ნიშნით ირიბი დისკრიმინაცია დაადგინა და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მათთვის, სიმბოლური - ერთი ლარის ოდენობით, მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა.**

13 დეტალურად იხ.: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) – რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში პანდემიის პირობებში და მის მიღმა ანგარიში 2020-2021 (მაისი), გვ. 28-29.

3. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები

არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა კვლავ რელიგიურ ქონებასა და სამლოცველოებთან დაკავშირებული საკითხებია. რელიგიური გაერთიანებები დაბრკოლებებს აწყდებიან როგორც საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების დაბრუნების, ისე ახალი სამლოცველოების მშენებლობის პროცესში. დისკრიმინაციულია კანონმდებლობაც, რომელიც, განსხვავებით მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსგან, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს უზღუდავს ქონების დაბრუნებისა და შეძენის უფლებას. რელიგიური გაერთიანების ქონებასა და დამოუკიდებლობას უკავშირდება საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმეც, რომელიც 2022 წელს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით (რომლის გადასინჯვაზეც უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა), ერთადერთი სამლოცველოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა.

3.1. ისტორიული ქონების დაბრუნება

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც ვერ გადაიჭრა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ისტორიული რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი. ქონების დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დგას. დღემდე მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ქონების რესტიტუცია.

მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი არ დაუბრუნდა. ამგვარი ქონების ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, ნაწილი კი საქართველოს საპატრიარქოს ხელში გადავიდა. მაგალითად, საპატრიარქოს მისაკუთრებული აქვს შვიდი კათოლიკური ტაძარი.[14] 2017 წელს სახელმწიფომ საპატრიარქოს თბილისში მდებარე თანდოიანცის ისტორიულად სომხური ეკლესია გადასცა საკუთრების უფლებით.[15] 2019 წელს კი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ასურეთში, მდებარე ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ნაწილი, რომელიც ამავე დროს, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობის უფლებით გადაეცა.[16]

14 დეტალური ინფორმაციისთვის საქართველოში რელიგიური ქონების რესტიტუციის პრობლემის შესახებ იხილეთ TDI-ის ანგარიში „რესტიტუციის პოლიტიკა საქართველოში“, ხელმისაწვდომია – http://tdi.ge/sites/default/files/restituciis_politika_sakartveloshi.pdf

15 იქვე. გვ 15.

16 დეტალურად იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 215, ხელმისაწვდომია – https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

- **კათოლიკეებისთვის მათი ისტორიული ტაძრების მონახულების ხელშეშლა**

გარდა იმისა, რომ არადომინანტი რელიგიური გაერთიანებები ვერ იბრუნებენ მათთვის წართმეულ რელიგიურ ნაგებობებს, მართლმადიდებელი ეკლესია მათ ხელს იმაშიც უშლის, რომ რელიგიურ დღესასწაულებზე ამ ნაგებობებს ეწვიონ. ამის მაგალითია ქუთაისში მდებარე ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ისტორიულად კათოლიკური ეკლესია, რომლის დღესასწაულიც 8 დეკემბერს აღინიშნება. ამ დღეს, ყოველწლიურად, კათოლიკე მრევლი ტაძარს სტუმრობდა და ლოცვას აღავლენდა. თუმცა, 2022 წლის ოქტომბერში, ფატიმას ღვთისმშობლის საქართველოში ჩამობრძანების დროს, მართლმადიდებელმა მღვდლებმა ტაძარი სპეციალური ლენტით შემოსაზღვრეს და პაპის ნუნციუსსა და კათოლიკე მრევლს შესვლის საშუალება არ მისცეს.[17]

2023 წლის მაისში კი მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიამ ტაძრის ტერიტორიაზე ჭიშკარი დაამონტაჟა და შემოსაზღვრა.[18] 8 დეკემბერს, ტაძრის დღესასწაულზე, მართლმადიდებელი ეკლესიის ქუთაის-გაენათის ეპარქიის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით, კათოლიკე მრევლს ტაძარში შესვლის საშუალება არ მისცეს.[19]

მსგავსი სიტუაციაა ბუზმარეთში, თურქეთ–საქართველოს სასაზღვრო ზონაში არსებულ ისტორიულად კათოლიკურ ტაძართან დაკავშირებითაც, რომელშიც კათოლიკე მორწმუნეები ამაღლების სადღესასწაულო წირვის აღსავლენად ყოველ წელს მიდიან. მართლმადიდებელი სასულიერო პირები მათ წირვას არც ტაძარში და არც ტაძრის ეზოში არ ატარებინებენ, რის გამოც, კათოლიკე სასულიერო პირები და მრევლი იძულებული არიან, მსახურება ტაძრის ეზოს გარეთ ჩაატარონ. თუმცა, 2023 წელს მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ამის ხელშეშლაც სცადეს და ხელოვნურად დაიკავეს ის ადგილი, სადაც წინა წლებში კათოლიკე მორწმუნეები წირვას ატარებდნენ.[20]

3.2. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე

საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი რჩება მუსლიმების მიერ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. 2017 წელს ა(ა)იპ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის სარჩელის საფუძველზე დაწყებულ სასამართლო დავაზე, რომელიც მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ბათუმის მერიის უკანონო გადაწყვეტილებას ეხება, უზენაესმა სასამართლომ რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის ძირითადი უფლებების დამაზიანებელი გადაწყვეტილება მიიღო და საქმე სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა ხელახლა განსახილველად.

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (რომელმაც, თავის მხრივ, ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მეჩეთის მშენებლობაზე უარის დისკრიმინაციულობის შესახებ) და თქვა, რომ ბათუმის მერიის უარი ახალი მეჩეთის მშენებლობაზე არ არის დისკრიმინაცია მუსლიმი თემის მიმართ, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ იმავე ფუნქციურ ზონაში, სადაც მუსლიმები მეჩეთის მშენებლობას ითხოვენ, 7 მართლმადიდებლური ტაძარი აშენდა.

17 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს, სიახლე - https://shorturl.at/itGK1
18 იქვე.
19 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს, სიახლე - https://shorturl.at/eCP56
20 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს, სიახლე - https://shorturl.at/aisAR

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იმ კუთხითაც არის საგანგაშო, რომ იგი სრულიად დაუსაბუთებლად, მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაზე უკონტექსტო მითითებით, აცხადებს, რომ 21-ე საუკუნეში აშენებული მართლმადიდებლური ტაძრები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია, რის გამოც, ბათუმის მერიამ მათ უნებართვოდ აშენებაზე თვალი უნდა დახუჭოს.[21]

საქმის განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გრძელდება, სადაც ერთ-ერთ სხდომაზე მხარეებმა მორიგების პირობები განიხილეს. თუმცა, ბათუმის მერიამ სასამართლოს მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს განსაზღვრულ 1-კვირიან ვადაში (და არც შემდგომში) არ წარმოადგინა თავისი პოზიცია მორიგების პირობებზე. ამის გამო, სასამართლო პროცესი კვლავ ჭიანურდება, რაც მოცემულ საქმესთან მიმართებით ხელისუფლების დისკრიმინაციული სტრატეგიის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა. კერძოდ, ხელისუფლების მხრიდან მუსლიმთა ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას განგრძობითი ხასიათი აქვს. წლების განმავლობაში, მუსლიმები ხელისუფლების მიერ შექმნილი უკანონო ბარიერების გამო ვერ ახერხებენ ბათუმში სამლოცველოს აშენებას და მათ ამ დრომდე უწევთ ღია ცის ქვეშ შეკრება და ლოცვა. ხელისუფლებამ ყველა ბერკეტი გამოიყენა, რომ საქმე არსებითად დროულად არ გადაწყვეტილიყო და სასამართლო ინსტანციებში გასაჩივრების გზით საქმე 7 წლის განმავლობაში გააჭიანურა. უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კი ხელს უწყობს როგორც პროცესის გაჭიანურებას, ასევე მუსლიმების უფლებების სისტემური დარღვევის გაგრძელებას.

3.3. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი იცავს საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და მისი პასტორის, ზაალ ტყეშელაშვილის ინტერესებს.[22]

ევანგელისტური ეკლესიის მრევლის რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და სხვა ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა შენიღბულია წინააღმდეგობრივი სამოქალაქო დავით. 2022 წლის 9 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პასტორ ზაალ ტყეშელაშვილს (მოპასუხე) დააკისრა, მოსარჩელეს გადაუხადოს წლების განმავლობაში მიღებული საეკლესიო შემოწირულებები, რომლებიც განკუთვნილი იყო ეკლესიის პირველი და ერთადერთი სამლოცველო სახლის მშენებლობის დასასრულებლად.

საქმეში მოსარჩელეები არიან აშშ-ის მოქალაქე ბიუნგ ჩან პარკი და აშშ-ში რეგისტრირებული მისივე ორგანიზაცია 12 Baskets. 2019 წელს, პარკმა სარჩელი შეიტანა ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა, მოპასუხეს მის სასარგებლოდ გადაეხადა ის შემოწირულებები, რომელიც მოსარჩელემ, ეკლესიის სახელით, წლების განმავლობაში შეაგროვა ქრისტიანი მორწმუნეებისგან საზღვარგარეთ.

საქალაქო სასამართლომ მოსარჩელე პარკის 4 სასარჩელო მოთხოვნიდან არცერთი არ დააკმაყოფილა. თუმცა, 2022 წლის ნოემბერში სააპელაციო სასამართლომ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ეკლესიას მოსარჩელისთვის 90,000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. პასტორმა ზაალ ტყეშელაშვილმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

21 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დეტალური შეფასებისთვის იხ. TDI-ის სიახლე: https://tdi.ge/ge/news/1070-batumis-axali-mechetis-sakme

22 საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული საქმის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023 წლის 9 თებერვალი: http://tdi.ge/sites/default/files/sakartvelos_evangelisturi_eklesiis_sakme.pdf

2023 წლის 30 იანვარს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო პასტორის საკასაციო საჩივარი, რის გამოც, ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქმის მასალების დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოსარჩელე პარკი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და საკუთარი ბუნდოვანი ფინანსური საქმიანობისთვის იყენებდა რელიგიურ გაერთიანებებს. საქმეს ახლავს მოსარჩელის მიერ წარდგენილი სავარაუდოდ გაყალბებული დოკუმენტების ასლებიც, რომლებზეც დატანილია აშშ-ის ნოტარიუსის ბეჭედი. საქართველოს სააპელაციო სასამართლომ არამხოლოდ უგულვებელყო დოკუმენტების ასლების ავთენტურობის დასადგენად ექსპერტიზის დანიშვნის აშკარა საჭიროება, არამედ აღნიშნული საკითხი საერთოდ არ შეაფასა და, მეტიც, ხსენებული ასლების საფუძველზე, ზაალ ტყეშელაშვილს 70,000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. კერძოდ:

1. მოსარჩელე ბიუნგ ჩან პარკმა 70,000 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლების მტკიცებულებად სასამართლოს წარუდგინა ორი ხელშეკრულების ასლი. მან ვერ შეძლო ორიგინალი ხელშეკრულებების წარმოდგენა. მოპასუხის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ არ დანიშნა ექსპერტიზა აღნიშნული ასლების ავთენტურობის დასადგენად;

2. ექსპერტიზის არდანიშვნა სასამართლოს მიკერძოებულობის ეჭვს კიდევ უფრო იმის გამოც აძლიერებს, რომ აღნიშნულ ასლებში ფიქსირდებოდა არაერთი შეუსაბამობა. კერძოდ: ხელშეკრულებაში მითითებული იყო ბიუნგ ჩან პარკის 2015 წელს გაცემული პასპორტის სერიული ნომერი, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დადების წლად 2014 წელი იყო მითითებული; ხელშეკრულებებს აკლდა არაერთი სანოტარო რეკვიზიტი (მაგ. ნოტარიუსის ხელმოწერა, სანოტარო აქტი, დამოწმების თარიღი და სხვა), რომელთა აღნიშვნა სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტზე, ვაშინგტონის შტატის სანოტარო კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულოა.

საბუთების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, 2019 წლის ნოემბერში, ზაალ ტყეშელაშვილმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართველოს პროკურატურასაც მიმართა. სამ წელზე მეტი გავიდა ამ მიმართვის შემდგომ, თუმცა შედეგი არ დამდგარა.

ვაშინგტონის შტატის ლიცენზირების დეპარტამენტთან (რომელსაც აღნიშნული ბეჭდის მფლობელი სანოტარო ბიუროს საქმიანობის ზედამხედველობის უფლებამოსილება გააჩნია) ოფიციალური კომუნიკაციის შედეგად, დადგინდა, რომ ნოტარიუსმა, რომლის ბეჭედიც ფიქსირდება სადავო დოკუმენტებზე, ვაშინგტონის შტატის ლიცენზირების დეპარტამენტს ვერ წარუდგინა ვერცერთი მტკიცებულება ამ დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმების შესახებ. შტატის კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტაცია ნოტარიუსმა სანოტარო აქტის შესრულებიდან ათი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს.

რაც შეეხება მოსარჩელე პარკის ორგანიზაციას, 12 Baskets-ს, საყურადღებოა, რომ აშშ-ის კორპორაციებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების სარეგისტრაციო სისტემაში ეს ორგანიზაცია რამდენჯერმე არის დახურული სახელმწიფოსთვის წლების განმავლობაში წლიური ანგარიშების წარუდგენლობის გამო. ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ბიუნგ ჩან პარკი აღნიშნულ

ორგანიზაციას და მის საქველმოქმედო სტატუსს გადასახადებისგან თავის არიდებისა და საეჭვო ტრანზაქციებისთვის იყენებს.

მიმდინარე წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი სამოქალაქო დავა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლა აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ ეს საქმე ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის ნაწილია საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის გაჩუმებისა და ეკლესიის ქონებისა და დამოუკიდებლობის წართმევის მიზნით.

4. რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსება

წინა წლების მსგავსად, სახელმწიფომ 2023 წელსაც განაგრძო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება. **საპატრიარქომ სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან კვლავ 25 მილიონი ლარი მიიღო.** მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სახელმწიფო, ისე საპატრიარქო, ამ თანხისა და სხვა მატერიალური რესურსების გადაცემის გამამართლებელ მიზეზად საბჭოთა რეჟიმის დროს ეკლესიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ასახელებენ, აშკარაა, რომ, თავისი ბუნებით, თანხის ამგვარი გადაცემა ატარებს არა მიყენებული ზიანის კომპენსაციის, არამედ სახელმწიფოს მხრიდან საპატრიარქოს სუბსიდირების ხასიათს.

25 მილიონის გარდა, რომელსაც ეკლესია ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პრემიერ-მინისტრის განკარგულებების საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მთავრობამ დამატებითი მატერიალური სიკეთეებიც გადასცა.

2023 წელს, საქართველოს მთავრობამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში, აგრეთვე მასთან არსებული უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე საქველმოქმედო ფონდებისათვის ჯამში **33 350 213 ლარი გადასცა.**[23]

ასევე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას **პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა:** წყალტუბოს, მარტვილის, ქ. თბილისის, ხარაგაულის, ოზურგეთის, აბაშის, დუშეთის მუნიციპალიტეტებში მდებარე ჯამში 1,7 ჰა-მდე მიწის ნაკვეთები, ხოლო ქარელის, საგარეჯოს, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სახნავი და საძოვარი კატეგორიის მიწის ნაკვეთები, სულ 691 ჰა უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, სარგებლობაში გადაეცა.[24]

გარდა ცენტრალური ბიუჯეტისა, საქართველოს მართლმადიდებელი **ეკლესია დაფინანსებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობებისგანაც, რაც 2023 წელს, საშუალოდ, 6,6 მილიონ ლარს შეადგენს.** ეს დაფინანსებაც გაუმჭვირვალე და არასეკულარულია. უმეტეს შემთხვევაში უცნობია დაფინანსების მიზანი და ინფორმაცია მისი ხარჯვის შესახებ.

რელიგიური ორგანიზაციებისთვის თანხის გადაცემის შესახებ TDI-მ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია 59 მუნიციპალიტეტის და 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი) მერიიდან. 58 მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2023

23 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 21 მარტის წერილი GOV 0 24 00008280

24 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 21 მარტის წერილი GOV 0 24 00008280

წელს 41 მუნიციპალიტეტის[25] მიერ მართლმადიდებელ ეკლესიას ჯამურად 5.3 მილიონი ლარი გადაეცა. დამატებით, 6 მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა დაფინანსებამ 1.3 მილიონი ლარი შეადგინა. ამდენად, მოწოდებული ინფორმაციისა და ბიუჯეტების ერთობლივი დამუშავებით, 2023 წელს, მუნიციპალიტეტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება 6.6 მილიონი ლარია.

მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების მოცულობა განსაკუთრებით დიდია იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია. ადიგენის მუნიციპალიტეტმა 449,206 ლარი გამოყო სამონასტრო კომპლექსებში გალავნისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის; მარნეულის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას 450,000 ლარი გადასცა;[26] ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ბოლნისის ეპარქიას 360,000 ლარი გადაურიცხა.

ამ ფონზე, მინიმალურია მუნიციპალიტეტების მიერ სხვა რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება. TDI-ს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ **2023 წელს მუნიციპალიტეტებმა არამართლმადიდებელ რელიგიურ ორგანიზაციებს ჯამში 27,671 ლარი გადასცეს.** თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული თანხა, კომუნალური ხარჯების დაფარვისა და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს გადასცეს ნინოწმინდის[27] და დმანისის[28] მუნიციპალიტეტებმა და ისნისა[29] და კრწანისის[30] რაიონის გამგეობებმა. გარდა ამისა, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო დადგენილების მიხედვით 20,100 ლარი განსაზღვრულია ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების კომუნალური გადასახადებისათვის, თუმცა, მარნეულის მუნიციპალიტეტს საჯარო ინფორმაცია არ მოუწოდებია, შესაბამისად, შეუძლებელია დადგენა, გაიცა თუ არა ან რა ოდენობის თანხა გაიცა მეჩეთების კომუნალური გადასახადებისათვის.

2014 წლიდან, სხვა 4 რელიგიური გაერთიანება (მუსლიმური, ებრაული, კათოლიკე და სომეხთა სამოციქულო ეკლესია) ასევე იღებს სახელმწიფოს ყოველწლიურ დაფინანსებას, საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის სიმბოლური კომპენსირების მიზნით. საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განაწილებას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო უზრუნველყოფს. 2022 წელს სახელმწიფომ ეს დაფინანსება 1 მილიონი ლარით გაზარდა, რაც 2023 წელს უცვლელი დარჩა. შედეგად, ოთხივე რელიგიური გაერთიანების დაფინანსების საერთო წლიურმა მოცულობამ 5,5 მილიონი ლარი შეადგინა. საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად მხოლოდ 4 რელიგიური გაერთიანების აღიარება სახელმწიფოს დისკრიმინაციულ მიდგომად უნდა შეფასდეს, ვინაიდან საბჭოთა რეჟიმის პირობებში რეპრესიას სხვა მრავალი რელიგიური გაერთიანებაც დაექვემდებარა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ ბენეფიციართა სია არც 2023 წელს გაზრდილა.

25 მიღებული ინფორმაციის თანახმად, 17 მუნიციპალიტეტს ეკლესიისთვის თანხა არ გამოუყვია.

26 "მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (კოდი: 05 02 04)

27 სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის სამცხე-ჯავახეთისა და წალკის ვიკარიატს 6,322 ლარი გადასცა; აღმოსავლეთის ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატის სოფ. ეშტიის სურბ ასტვაწაწინის ეკლესიას კი - 1,224 ლარი.

28 ამამლოს მეჩეთისთვის ელექტრო ენერგიისათვის გამოყოფილი იქნა 125 ლარი.

29 სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიას 10,000 ლარი გადაეცა სურბ ეჩმიაძინის სახელობის ეკლესიასთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „ჰაიარტუნი"-ს შენობის შესაკეთებელი სამუშაოების ხარჯებისთვის.

30 სომეხთა სამოციქულო ეკლესიას გამოუყო 10,000 ლარი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისთვის.

5. დანაშაულები რელიგიის ნიშნით

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია 2023 წელს რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე. ამგვარი დანაშაულის სამიზნე ყველაზე ხშირად კვლავ იეჰოვას მოწმეები ხდებიან.

გამოწვევად რჩება სახელმწიფოს ეფექტიანი რეაგირება, რაც გამოიხატება გამოძიების არდაწყებაში, მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისა და ბრალდებული პირებ-ის გამოვლენის გაჭიანურებაში. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სასამართლოს მიერ მსჯავრდების დაბალ მაჩვენებელზეც აისახება.

პრობლემად დარჩა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო წარდგენილი საკასაციო საჩივარი და ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებითაც ბრალდებულებს მოეხსნათ ვიტალი საფაროვის მკვლელობის მოტივი - რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა.

გაგრძელდა მუსლიმების დევნა რელიგიური ნიშნით. 2023 წელს ადიგენში მუსლიმი მორწმუნეების მიმართ მუქარის, რელიგიური საქმიანობისთვის ხელშეშლისა და დევნის საქმეზე ხელისუფლებამ მიზანმიმართულად არ დაიწყო გამოძიება. მეტიც, საქმეში ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის ჩართულობა დანაშაულის დაფარვისა და მუსლიმების დევნაში თანამონაწილეობის კუთხით, სავარაუდო სამოხელეო დანაშაულებზე მიუთითებს.

ხელისუფლების სავარაუდო დანაშაულების მაგალითია 2021 წელს გამოქვეყნებული საიდუმლო მასალები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სავარაუდო მასობრივი უკანონო მოსმენისა და თვალთვალის შესახებ, რომლებიც შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, პირად კომუნიკაციასა და პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას კონკრეტული ინდივიდების შესახებ.[31] გამოქვეყნებული დოკუმენტების სრული უმრავლესობა შეეხებოდა რელიგიის თემატიკას. მასალები გვაჩვენებს, რომ ხელისუფლება უკანონოდ უსმენს და უთვალთვალებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს.[32] პროკურატურის მიერ TDI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის[33] თანახმად, 2024 წლის იანვრის მდგომარეობით, აღნიშნული დანაშაულის გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა სულ 121 პირს, რომელთაგან 14 სასულიერო პირია. თუმცა კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება კვლავ გრძელდება.

31 საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 18 სექტემბრის განცხადება https://pog.gov.ge/news/https-pog-gov-ge-1-2

32 იხ. TDI-ს 2021 წლის 15 სექტემბერის განცხადება http://tdi.ge/ge/statement/gancxadeba-gavrcelebul-ukanono-chanacerebze

33 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 11 იანვრის N13/1053 წერილი.

5.1. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის[34], პროკურატურისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის“ 2023 წლის ერთიანი ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში:

- **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 5 საქმეზე დაიწყო გამოძიება, მათ შორის 2 ისეთ საქმეზე, რომელშიც შეუწყნარებლობის მოტივი გენდერი და რელიგია იყო.[35]

- იმავე ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე **სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სულ 7 საქმეზე დაიწყო გამოძიება. 7-ვე საქმე იეჰოვას მოწმეების მიმართ ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა და მოიცავდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარას და ქადაგების ადგილის დატოვების მოთხოვნას, ასევე საინფორმ-აციო/სალიტერატურო სტენდების დაზიანებას.[36]

- **საქართველოს პროკურატურამ** საანგარიშო პერიოდში რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის მხოლოდ 2 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელთაგან ერთში შეუწყნარებლობის მოტივად, რელიგიასთან ერთად, გენდერიც იკვეთ-ებოდა. საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ დაზარალებულად ცნო 6 პირი.[37]

- **სასამართლო:** რაც შეეხება რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაუ-ლის ჩადენისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ამ კატეგორიის დანაშაულებისთვის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საანგარიშო პერიოდში არცერთი პირი არ არის მსჯავრდებული.[38] თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საანგარიშო პერიოდში გამოტანილია 4 გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (დევნა რელიგიისა და რწმენის გამო), ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით დანაშაულის ჩადენა, როგო-რც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება, 3 განაჩენში გამოიყენა.[39]

34 2022 წლის პირველი მარტიდან სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) და 156-ე მუხლით (ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო) გათვალისწინებული დანაშაულები შინაგან საქმეთა სამინისტროდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დაქვემდებარებაში გადავიდა, რის გამოც, 2023 წლის ბოლო კვარტლამდე (იმ დრომდე, ვიდრე „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა” აღნიშნულ სამსახურს დაქვემდებარებულ დანაშაულებსაც მოიცავდა) ხსენებულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ ქვეყნდებოდა.

35 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, 2023. იხ.: https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf

36 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 26 იანვრის SIS 3 24 00001322 წერილი.

37 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, 2023. იხ.: https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf

38 იქვე.

39 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 31 იანვრის N1/563 წერილი.

5.2. დაბა ადიგენში მუსლიმების მიმართ დევნა

2012 წლის ბოლოდან მუსლიმების დევნამ და მათ მიმართ რელიგიური ნიშნით ჩადენილმა დანაშაულებმა სისტემური ხასიათი მიიღო. ამ დანაშაულებზე ხელისუფლებას ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდენია, რითაც ყოველ ჯერზე ახალისებდა ახალ დანაშაულს. დანაშაულის კერა ყველაზე ხშირად ადიგენის მუნიციპალიტეტი ხდებოდა, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია.[40]

2023 წელს ადიგენში მუსლიმების მიმართ დევნის ახალი ციკლი დაიწყო. 16 ივნისს დაბა ადიგენში ზარზმის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ გეწაძე, ადგილობრივი ქრისტიანების ჯგუფთან ერთად, მუსლიმი სასულიერო პირის, მერაბ მიქელაძის, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე შეიჭრა და ამ ტერიტორიაზე განთავსებულ შენობაში შეკრებილ მუსლიმებს მოსთხოვა, რომ პარასკევის ლოცვა არ შეესრულებინათ, საკუთრება დაეთმოთ და ადიგენი დაეტოვებინათ.[41]

ქრისტიანთა ჯგუფის მიმართ სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებმა არ მიიღეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები. ხელისუფლებას მომხდარზე გამოძიებაც კი არ დაუწყია. სახელმწიფო თანამდებობის პირებმა მიიჩნიეს, რომ ეს საკითხი არაფორმალური მოლაპარაკებების გზით, მუსლიმების მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დათმობის ხარჯზე უნდა გადაწყვეტილიყო. ხელისუფლების წარმომადგენლები მუსლიმებს აიძულებენ, დათმონ ადიგენში მდებარე საკუთრება, შეწყვიტონ ლოცვა და რელიგიური საქმიანობა, სანაცვლოდ კი მიმდებარე სოფელში სხვა შენობა-ნაგებობის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას ჰპირდებიან. ამასთან, ხელისუფლების სურვილია, რომ ახალი შენობა-ნაგებობა არა ამ კონკრეტული მუსლიმი თემის, არამედ სულ სხვა რელიგიური ორგანიზაციის - სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს საკუთრებად დარეგისტრირდეს. არაერთი გარემოება მიუთითებს, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ ე.წ. მოლაპარაკებები დროის გაჭიანურებისა და დანაშაულის დაფარვის მიზნით გამოიყენა და საანგარიშო პერიოდში არც მისი უკანონო პირობა შეასრულა მუსლიმებისთვის ახალი შენობა-ნაგებობის შესყიდვასთან დაკავშირებით.

ხელისუფლების მიერ დანაშაულის შემწყნარებლობის შედეგად, მართლმადიდებელმა სასულიერო პირმა, ნიკოლოზ გეწაძემ და მასთან დაკავშირებულმა პირებმა 2024 წელსაც განაგრძეს მუსლიმი თემის დევნა. 2024 წლის 8 მარტს ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, ათეულობით ადგილობრივ პირთან ერთად, კვლავ თავს დაესხა ადიგენში პარასკევის ლოცვაზე შეკრებილ მუსლიმებს. ამ უკანასკნელთა მიმართ ისმოდა ჯანმრთელობის დაზიანებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა. გეწაძე და მისი თანამოაზრეები მუსლიმებისგან მოითხოვდნენ, რომ დაეტოვებინათ მათ საკუთრებაში არსებული შენობა და აღარ გაეგრძელებინათ პარასკევის ლოცვის ჩატარება. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა თავდამსხმელთა მიმართ კვლავ არ გამოიყენეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.[42]

40 იხ. TDI-ს 2010-2019 წლების ანგარიში საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, გვ. 105 http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

41 "ადიგენში მუსლიმებს სალოცავს და რელიგიურ სკოლას ატოვებინებენ – ადგილობრივების თქმით, მიზეზი მართლმადიდებელი სასულიერო პირების უკმაყოფილებაა", სამხრეთის კარიბჭე, 31.07.2023 https://sknews.ge/ka/news/39410

42 „გამოდი, გამოეთრიეთ გარეთ" – ადიგენში მუსლიმებს პარასკევის ლოცვაზე მიუვარდნენ" - ბათუმელები, 08.03.2024 https://batumelebi.netgazeti.ge/news/519077/

მუსლიმების იძულებაში, რასაც ხელისუფლება "მოლაპარაკებებად" წარმოაჩენს, მონაწილეობს როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება. პროცესში აქტიურად არიან ჩართული პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და მისი თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე[43], ადიგენის მერი გოჩა ქიმაძე[44] და სამცხე-ჯავახეთის რწმუნებული (გუბერნატორი) ბესიკ ამირანაშვილი[45]. ხელისუფლება ხელს აფარებს სავარაუდო დამნაშავეებს და უხეშად არღვევს კანონმდებლობას და ადამიანის უფლებებს, რაც სამოხელეო დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებს.

5.3. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე

საანგარიშო პერიოდში კვლავაც პრობლემად დარჩა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი.

როგორც ცნობილია, 2018 წლის 30 სექტემბერს მოკლეს საქართველოს მოქალაქე, 25 წლის უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი. საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების მიხედვით, მკვლელობის ჩადენაში იკვეთებოდა ორი პირის მონაწილეობა, თავდამსხმელების აშკარად ანტისემიტური და ქსენოფობიური ენა კი მიუთითებდა დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე. ამასთანავე, ცხადი იყო მოძალადეების კავშირი ნეონაცისტურ ჯგუფებთან. [46]

მიუხედავად ამისა, 2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულებს მკვლელობის მოტივად მოუხსნა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა, ბრალდებულები მხოლოდ ჯგუფურ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ და 15-15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 2023 წლის 16 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამართულ ბოლო პროცესზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2023 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, დაუშვებლად ცნო წარდგენილი საკასაციო საჩივარი; შესაბამისად, ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებითაც ბრალდებულებს მოეხსნათ ვიტალი საფაროვის მკვლელობის მოტივი - რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა.[47]

43 ვაშაყმაძე მუსლიმ სასულიერო პირს, მერაბ მიქელაძეს, ადანაშაულებს და ემუქრება: " ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა ის შესაძლო პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება აქედან გამომდინარე დადგეს, თეორიულად მომავალში, დაეკისრება მერაბ მიქელაძეს. შესაბამისად, მათი მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს დესტრუქციად და გამწვავების კუთხით პერსპექტივად" - სამხრეთის კარიბჭე, 03.04.2024 https://sknews.ge/ka/news/40796

44 ადიგენის მერი გოჩა ქიმაძე: „დაიკეტება და ლოცვა აღარ იქნება - ეს არის ძალიან დიდი სურვილი ჩვენი, რომ ეს ასე იყოს... ჩვენ არავის ხელს არ ვუშლით, უნდა ილოცონ, მაგრამ... ყოველგვარი კანონის დარღვევით არის გახსნილი ეს მეჩეთი და აი, ამაზე არის თქვენი მღელვარება, მე თქვენიც მესმის" - რადიო თავისუფლება, 13.03.2024 https://www.radiotavisupleba.ge/a/დაბა-ადიგენში-მუსლიმთა-სახალხო-ლოცვა-აღარ-იქნება/32858798.html
„ეს არის სახლი და როგორც მეჩეთი არ იფუნქციონირებს. თუ სურვილი ექნებათ, ნებისმიერ სოფელში, სადაც მუსლიმი თემი ცხოვრობს და არ აქვთ მეჩეთი იქ გახსნიან, მერია პირიქით დაეხმარება ამ საქმეში... ეს მეჩეთი, რომელიც იქ იფუნქციონირებს მშვიდობას არ მოიტანს. ამიტომ, აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, საჭიროებას არ წარმოადგენს რომ აქ იყოს" - სამხრეთის კარიბჭე, 09.03.2024 https://sknews.ge/ka/news/40636

45 ე.წ. მოლაპარაკებები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში იმართება. იხ. სამხრეთის კარიბჭის" სიახლე "რატომ ვერ შედგა მერაბ მიქელაძესა და სახელმწიფოს შორის მოლაპარკება"(05.04.2024). ხელმისაწვდომია - https://sknews.ge/ka/news/40824

46 უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება", humanrights.ge, 5 სექტემბერი, 2019, ხელმისაწვდომია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19945&lang=geo

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება- საქმე №259ა3-23 ქ. თბილისი კ. ა. 259ა3-23 21 სექტემბერი, 2023 წელი, https://bit.ly/4aRbHBs

6. რელიგია საჯარო სკოლებში

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საჯარო სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად რელიგიურ ნეიტრალობასა და არადისკრიმინაციულობას განსაზღვრავს, რაც ყველა მოსწავლისთვის სეკულარული და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას მოიაზრებს. მიუხედავად ამისა, საჯარო სკოლებში ინდოქტრინაცია, პროზელიტიზმი და რელიგიური ნეიტრალობის დარღვევა დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

როგორც არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები TDI-სთან აღნიშნავენ, საჯარო სკოლებში კვლავ ხშირია როგორც რელიგიური სიმბოლიკის არააკადემიური დანიშნულებით გამოფენის ფაქტები, ისე კონკრეტული რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი მოსწავლეების რელიგიური ნიშნით დიფერენციაცია. თუმცა, მიუხედავად პრობლემის არსებობისა, განათლების სამინისტრო არ ახდენს ამგვარი ფაქტების პროაქტიულად გამოვლენას და აღკვეთას. კვლავ დაბალია თავად მოსწავლეების/მშობლების მხრიდან საჩივრის წარდგენის მაჩვენებელიც, რაც, სავარაუდოდ, უნდობლობითა და უფრო მეტად სტიგმატიზაციის შიშით არის განპირობებული.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით[48], 2023 წელს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს არ შეუსწავლია საჯარო სკოლებში რელიგიური და ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობის და/ან რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინა-ციის, სასკოლო სივრცეში რელიგიური ნეიტრალობის დარღვევის, რელიგიური პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის არცერთი საქმე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობითა და კოორდინირებით, იგეგმებოდა საჯარო სკოლებში ახალი არჩევითი/ნებაყოფლობითი საგნის სწავლება.[49] საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით,[50] მიმდინარეობდა საპატრიარქოს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული პედაგოგებისა და სასულიერო პირების გადამზადების ეტაპი. გეგმის მიხედვით, უნდა დაწყებულიყო “ღირებულითი განათლების საკლუბო მუშაობა”, რისთვისაც, 2023 წლის სექტემბრის განცხადებით, უკვე შერჩეული იყო 25 საპილოტე საჯარო სკოლა, სადაც სკოლების სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება

48 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2022 წლის 2 თებერვლის MES 6 24 0000109212 წერილი.

49 “საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, პედაგოგების გადამზადების ახალი პროექტი დაიწყო”, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, 19 ივნისი, 2023 წელი, https://sazu.ge/posts/post/750

50 “საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, დაიწყო პედაგოგების გადამზადების მეორე ეტაპი”, ტელეკომპანია იმედი, 16 სექტემბერი, 2023, https://bit.ly/4aUn4sq

არჩევითი/ნებაყოფლობითი საგნის სწავლება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2023 წელს TDI-მ საჯარო ინფორმაცის მოთხოვნით არაერთხელ მიმართა განათლების სამინისტროსა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს. აღნიშნულმა უწყებებმა, კანონმდებლობის სრული უგულებელყოფით, TDI-ს არ მიაწოდეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

მისასალმებელია, რომ 2019 წლიდან განათლების სამინისტრომ, საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, ყველა საგნის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესში ადამიანის უფლებების ექსპერტებიც ჩართო. ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კრიტერიუმი ითვალისწინებდა სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კულტურის ასახვის თვალსაზრისითაც. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სახელმძღვანელოების შეფასებისა და რევიზიის პროცესი. კერძოდ, ექსპერტების ჩართულობით 2023 წელს მიმდინარეობდა მე-11, 1-ლი, მე-2 და ზოგიერთი მე-4 და მე-10 კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი.

TDI-მ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, გრძელდება თუ არა სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი და იგეგმება თუ არა მასში ადამიანის უფლებების ექსპერტების ჩართვა 2024 წელსაც. პასუხად, სამინისტრომ TDI-ს აცნობა, რომ გრიფირების პროცესი აღარ გრძელდება, მიმდინარეობს არსებული საგნობრივი სტანდარტების რევიზია და ხსენებული პროცესის დასრულების შემდგომ გადაიხედება სახელმძღვანელოების განვითარების საკითხი და დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები.[51]

51 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 17 აპრილის MES 2 24 0000436567 წერილი.

7. ანტისემიტიზმი

2023 წლის 7 ოქტომბერს, ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასის" მიერ ისრაელზე განხორციელებული შეტევის შემდეგ, ანტისემიტური, სიძულვილის ენის შემცველი რიტორიკა საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, გაძლიერდა. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი უკვე არაერთი წელია რაც საქართველოში ანტისემიტიზმის შემთხვევებს აკვირდება და სწავლობს. ქვემოთ მოყვანილი მიმოხილვა ეყრდნობა სოციალურ მედიაში 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქართულ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ძირითად ანტისემიტურ გზავნილებს, რომელიც TDI-მ შეისწავლა.

სოციალურ მედიაში გავრცელებულ პოსტებში და კომენტარებში ხშირად იყო გამოთქმული რელიგიური სტერეოტიპები და ებრაელი ერის კოლექტიური დადანაშაულება (მაგალითად, ქრისტეს ჯვარცმის ებრაელებისთვის დაბრალება და ამით ებრაელების ქრისტიანების მდევნელებად წარმოჩენა).

"ხალხს, რომელმაც ჯვარს აცვა იესო ქრისტე და მოინანია კი არა, დღემდე აფურთხებს.. ხალხს, რომლებიც ათასწლეულებია იღწვიან ანტიქრისტეს გამეფებისთვის ... აი, ამ ხალხზე ზოგიერთი ქართველი ამბობს ფრაზებს: "უფალი გფარავდეთ", "უფალი შეგეწიოთ" და მსგავსი..";

"მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ისრაელი დაიპყრეს და ებრაელები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ. ღვთისაგან ასე დაისაჯნენ, რადგან ებრაელებმა მაცხოვარი ჯვარს აცვეს!";

" უჯიშო, უსისხლო არაადამიანები. უფალი აწამეთ და მოკალით და ეხლა ვიღას ელოდებით თქვე გონებაჩლუნგებო";

ზოგიერთი მათგანი კი ჰოლოკოსტს ამართლებდა ან საერთოდ უარყოფდა და ებრაელთა გამონაგონად აცხადებდა.

"რასაც ფაშისტური გერმანია უშვებოდა ებრაელებს - საქმეც იმაშია, რომ არ უშვებოდა, ებრაული ზღაპრებია ეგეც";

გავრცელებულ კომენტარებში ხშირი იყო ებრაელების შესახებ შეთქმულების თეორიებიც, თითქოს ებრაელებს მთელი მსოფლიო ხელში უჭირავთ და მართავენ მას.

"ეს ის ქვეყანაა, რომელიც განაგებს მსოფლიო ფინანსების უდიდეს ნაკადებს, რომლის ქვეშაა მსოფლიოს ფარული მმართველობა";

"ომს და ძალადობას არასდროს ვამართლებ, მაგრამ ისრაელი და ებრაელები ბევრი ცუდის სათავეა, მარტო მასონები რომ ვთქვათ, ყველა დიდი მასონი ებრაელია და მასონთა წადილი კი იცის ყველამ რაც არის მუდამ".

სოციალური მედიის პლატფორმებზე ანტისემიტური შინაარსის განცხადებების გამავრცელებლებს შორის იყო ანგარიშები, რომელთაც ათი ათასობით გამომწერი ჰყავთ სოციალური ქსელების სხვადასხვა პლატფორმებზე. ანტისემიტური განცხადებები გავრცელდა მათ შორის სხვადასხვა უფლებადამცველის მხრიდან.

მუსიკოს ერეკლე დეისაძის მიერ გაკეთებულ ანტისემიტურ და სიძულვილის ენის შემცველ კომენტარს 2024 წლის 12 იანვარს სოციალური მედია Facebook-ის პოსტით გამოეხმაურა ისრაელის ელჩიც. დეისაძე კომენტარში ისრაელის სახელმწიფოს ოკუპანტად მოიხსენიებს და ჰამასის ტერორისტულ თავდასხმას ამართლებს. მის კომენტარში ასევე ვხვდებით მოწოდებას "ყველა სიონისტი უნდა განადგურდეს". აღნიშნულის საპასუხოდ ისრაელის ელჩმა განაცხადა: "ნიღაბი ჩამოხსნილია. კიდევ ერთი „ადამიანის უფლებების დამცველი" ჩვეულებრივი ანტისემიტი აღმოჩნდა...გრცხვენოდეთ, ერეკლე დეისაძევ, თქვენი ანტისემიტური, უმსგავსო სიტყვებისთვის, როდესაც ყველა „სიონისტის" განადგურებისკენ მოუწოდებთ, რაც ძირითადად ისრაელის ყველა მოქალაქე და მსოფლიოში მცხოვრებ ებრაელთა უმრავლესობაა...".[52]

წინა წლების მსგავსად[53], ანტისემიტური განცხადებები ამჯერადაც გავრცელდა მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან. სასულიერო პირმა, დეკანოზმა ბასილ ახვლედიანმა[54], თავის ფეისბუქ პოსტით გაიმეორა ებრაელების შესახებ გავრცელებული საშიში რელიგიური სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, მთელი ებრაელი ერი, კოლექტიურადაა პასუხისმგებელი ქრისტეს ჯვარცმის გამო, რაც ანტისემიტიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოვლინებაა.

"ბოლოს, მთავარი სასჯელი ქრისტეს ჯვარცმელი ებრაელებისა, იქნება იერუსალიმში გამშვენებული ტახტის დადგმა ანტიქრისტესთვის ...!"

დეკანოზი გამოქვეყნებულ პოსტში ასევე უარყოფს ისრაელის სუვერენული სახელმწიფოს იდეას,

"ცნობისთვის: ებრაელ ერს, მათივე ფუნდამენტალური კანონ სწავლებით, არ აქვთ უფლება ჰქონდეთ საკუთარი სუვერენული ცალკე სახელმწიფო, რასაც თავად რაბინები ადასტურებენ..."

ანტისემიტური შინაარსის ვიდეო გაავრცელა კიდევ ერთმა სასულიერო პირმა, გიორგი სამსონიძემ[55]. მან საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გააზიარა ვიდეო და პოსტი, რომელიც ებრაელ ხალხს ქრისტეს ჯვარცმაში ადანაშაულებს, ასევე მიუთითებს, რომ თითქოს ებრაელები ქრისტეს და ქრისტიანებს დევნიან. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი რანგის

52 იხ. საქართველოში ისრაელის ელჩის გამოხმაურება (საელჩოს Faceebok პოსტი), 2024 წლის 12 იანვარი: https://www.facebook.com/share/p/TYFJMvk3BipTqL8x/

53 იხ.: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) - რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2022, გვ. 37-38, https://tdi.ge/sites/default/files/tdi_forb_report_2022_geo.pdf

54 წყარო: ბასილ ახვლედიანის ფეისბუქ პოსტი, ოქტომბერი, 2023.

55 წყარო: გიორგი სამსონიძეს ფეისბუქ პოსტი, ოქტომბერი, 2023

სასულიერო პირების ანტისემიტურმა განცხადებებმა საგანგაშო ხასიათი 2020 წლიდან შეიძინა.[56]

არც საპატრიარქოს და არც ხელისუფლებას გახშირებული ანტისემიტური განცხადებები არ შეუფასებიათ და არ დაუგმიათ. ანტისემიტიზმი სიძულვილის ენის განსაკუთრებით მწვავე ფორმაა, რომელმაც კაცობრიობა ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ მოვლენებამდე მიიყვანა. რასიზმ-ისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) საუბრობს სახელმწიფოს მიერ სიძულვილის ენასთან ბრძოლის მნიშვნელობაზე, და მოუწოდებს საჯარო პირებს, განსაკუთრ-ებით პოლიტიკოსებსა და რელიგიურ ლიდერებს არამხოლოდ სიძულვილის ენის დაგმობისკენ, არამედ იმ ფასეულობების განმტკიცებისკენ, რომელსაც სიძულვილის ენის გამოყენება უქმნის საფრთხეს.[57]

- **ანტისემიტიზმის ფიზიკური გამოვლინება თბილისში**

2023 წლის 19 ოქტომბერს, სოციალურ მედიაში გავრცელდა ვიდეო, სადაც ასახული იყო როგორ ჩამოხსნეს ისრაელის დროშა, ფეხით შედგნენ მასზე და შეურაცხყვეს. შემთხვევა მოხდა სამედი-ცინო უნივერსიტეტის წინ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ისრაელის დროშა ამავე სასწავლო დაწესებულების წინ იყო განთავსებული.

ისრაელის დროშის შებღალვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოება ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 17 მუხლით (ევროპის კავშირის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური სიმბოლოს შებღალვა ან სხვა სახელმწიფოს დროშის ან გერბის შებღალვა) დაიწყო. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 4 პირი დაჯარიმდა, ხოლო ისრაელის დროშა ხელახლა აღიმართა უნივერსიტეტის კედელზე[58].

56 იხ. TDI, საეკლესიო ანტისემიტიზმი 2021 https://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebadi-inpormacia

57 რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15, რეკომენდაცია 4.

58 იხ. თბილისში ისრაელის დროშის შებღალვის ფაქტზე შსს-მ წარმოება დაიწყო, რადიო თავისუფლება, https://www.radiotavisupleba.ge/a/32645498.html 19.10.2023.